საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1279

27/12/2019

ქ. თბილისი

„სენაკის მუნიციპალიტეტში, შპს „გეჯეთის" მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის № 2-1271 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს ,,გეჯეთის'' მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იყო სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. გეჯეთში მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ 2019 წლის 26 დეკემბერს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1271 ბრძანება „სენაკის მუნიციპალიტეტში, შპს „გეჯეთის" მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე".

ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა. გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი არასწორადაა მითითებული (N7-ის ნაცვლად უნდა იყოს N8, 31.10.2019-ის ნაცვლად უნდა იყოს 20.11.2019). შესაბამისად სწორდება გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი.

<u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე მუხლის თანახმად,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტში, შპს „გეჯეთის" მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 დეკემბრის № 2-1271 ბრძანების პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტში, შპს „გეჯეთის“ მეორადი ზეთების (ენერგიის წყაროდ) აღდგენის (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება N8; 20.11.2019);

2. შპს „გეჯეთმა'' უზრუნველყოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკისა და N8; 20.11.2019; გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულება.“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,გეჯეთს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,გეჯეთის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი